# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან პარასკევი, 18 თებერვალი 1994 № 10 (85) ფასი 2000 კუპონი

# ნაკრების მწვრთნელი კმაყოფილია

## შედეგით, და რაც მთავარია, თამაშითაც მალტის საერთაშორისო ტურნირზე

გუშინწინ მალტიდან დაბრუნებულმა ალექსანდრე ჩივაძემ და ნოდარ ახალკაცმა მორიგი შეხვედრა მოაწყეს ჟურნალისტებთან, თუმცა სანამ პრეს-კონფერენციის ამბებს გამცნობთ, გვინდა მოვუბოდიშოთ „სარბიელის" მკითხველებს: ჩვენს ნაკრებს ტუნისთან 2:0 მოუგია და არა 2:1, როგორც წინა ნომერში ვწერდით...

სლოვენიასთან მატჩი ფრედ რომ დამთავრებულიყო, მაშინაც კი უკმაყოფილო ვიქნებოდიო — თქვა ჩივაძემ. „წაგებას ნამდვილად არ ვიმსახურებდით: მოწინააღმდეგეს ხომ ჩვენ კართან ერთი კუთხური რაა, ისიც არ მოუწოდებია" — ნანობდა საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი. მისი სიტყვებით, ჩვენებს 7-8 საგოლე მომენტი ჰქონიათ, მაგრამ მატჩის დამთავრებამდე 10 წუთით ადრე ბურთი დევაძის კარში აღმოჩენილა — „გლიპამ შენგელიას სტილში, თავურით გაგვიტანა" — გვითხრა ჩივაძემ. ქართველი მკითხველი ალბათ უკვე მიეჩვია საქართველოს გუნდების (არა მარტო ფეხბურთის) წაგების ასეთ ახსნას — უპირატესობა ჩვენი იყო, მაგრამ შემთხვევით დავმარცხდითო — მაგრამ ამ შემთხვევაში ალბათ უნდა ვენდოთ ბატონ ალექსანდრეს: ჯერ ერთი, იგი თამაშის ვიდეოკასეტის ტელევიზიით გაშვებას დაგვპირდა და მეორეც: მალტის პრესა ამ მატჩის შესახებ მართლაც იგივეს წერდა — ქართველებს წასაგები არ ჰქონდათო. თავად ჩივაძე კმაყოფილი დარჩა ამ შეხვედრაში (და მთელ ტურნირზე) ნაკრების თამაშით. მეტოქეთაგან მან ცნობილი სამპდორიელი სრეჩკო კატანეცი და მატიაზ ფლორიანჩიჩი („კრემონეზე") გამოჰყო.

მასპინძლებთან, მალტის ნაკრებთან ჩვენმა გუნდმა 1:0 მოიგო. ჩივაძე ამბობს: „ეს შეხვედრა დიდი ანგარიშით უნდა მოგვეგო, თუმცა არ დავმალავ და გეტყვით, რომ ბოლო 15 წუთი მალტელთა უპირატესობით მიმდინარეობდა და შეიძლება მატჩი ფრედაც დამთავრებულიყო". როგორც შევატყვე, ჩივაძე განსაკუთრებით ტუნისთან მოგებითაა კმაყოფილი და ეს არცაა გასაკვირი: ტუნისის ნაკრებმა ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში მხოლოდ მეორედ წააგო, არადა მისი მეტოქეები ბულგარელები (3:0), გერმანელები (1:1), პოლანდიელები (2:2) და სხვა ძლიერი მეტოქენი იყვნენ. მართალია ტურნირზე ამ ქვეყნის ნაკრები ოდნავ შესუსტებული შემადგენლობით გამოდიოდა (ძირითადის 5 მოთამაშე აკლდა), მაგრამ მესამე მატჩისთვის არც საქართველოს ნაკრები იყო „კბილებამდე შეიარაღებული": ცხადაძე და ქეცბაია უკვე კლუბებს დაუბრუნდნენ, გოგრიჭიანი კი ტრავმირებული იყო. „გოგრიჭიანი უკვე ტრავმირებული ჩამოვიდა მალტაში და ფაქტიურად 15 კაცილა დამრჩა" — თქვა ჩივაძემ.

ჟურნალისტთა ყურადღება გამოიწვია იმან, თუ რა ფორმაში არიან ჩვენი ლეგიონერები, განსაკუთრებით ქეცბაია და ყიზილაშვილი (ცხადაძის თამაში ხშირად გვინახავს, შელია და ქინქლაძე კი ახლახან წავიდნენ). „არ ვიცი როგორ თამაშობს ქეცბაია „ანორთოსისში", იმ პოზიციაზე კი, მე რომ მივუჩინე, მისი თამაშით კმაყოფილი არა ვარ. ყიზილაშვილს მოუმატებია. ეს მით უფრო გასაკვირია, რომ მან უმძიმესი ტრავმა მიიღო და ჯერჯერობით ოპერაციის შედეგები თავს იჩენდა ხოლმე" — აღნიშნა ბატონმა ალექსანდრემ.

მოკლედ, ჩივაძე კმაყოფილია ნაკრების შედეგით და რაც მთავარია, თამაშითაც. ასევე ფიქრობს ნოდარ ახალკაცი, რომელმაც ნაკრების მზადების საქმეში ორი პრობლემა აღნიშნა: „ჩვენთვის უცხო ხილია, რომ ნაკრები თამაშამდე ხუთი დღით ადრე იკრიბება. ეს ოფიციალურ მატჩებზე. მალტაში კი მხოლოდ თამაშის დღეს, დილის 8 საათზე შეიკრიბნენ ფეხბურთელები. მეორე კი ისაა, რომ უკვე ადგილი ჰქონდა ისეთ შემთხვევებს, როცა ზოგიერთი კლუბის ხელმძღვანელი უარს ამბობს ნაკრებში მოთამაშის გამოშვებაზე, თუმცა ასეთებს ჩვენ დავსჯით". კითხვაზე, თუ რატომ ხდება ეს, ახალკაცმა უპასუხა: „არ ვიცი, ალბათ ესეც ისეთივე საბოტაჟია, როგორიც ჩვენი ცხოვრების სხვა სფეროებში ხდება". ფედერაციის პრეზიდენტმა დამსწრეთ ნაკრების მომავალ გეგმებზე მოუთხრო. ისრაელის ტურნეზე ჩვენმა მკითხველმა უკვე იცის. რაც შეეხება ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების კალენდარს, ახალკაცმა მას „ჩვენთვის საუკეთესო" უწოდა. იქვე, ფრანკფურტში, სადაც ეს განრიგი შემუშავდა, ფედერაციის პრეზიდენტს მოლაპარაკება ჰქონია გერმანელებთან, რომლის დროსაც გადაწყდა, რომ საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები (16 წლამდე) 30 აპრილიდან ორი კვირის განმავლობაში გერმანიაში, ბრემენის სპორტულ სკოლაში იქნება და თანატოლებთან ოთხ ამხანაგურ შეხვედრასაც გამართავს. ეს გერმანელთა ერთგვარი საჩუქარია. მანამდე კი იგივე ნაკრები 28 ივნისიდან 3 ივლისამდე ლიტვის კურორტ პალანგაში დაგეგმილ ტურნირზე ითამაშებს.

რასაკვირველია ყველას აინტერესებდა, თუ როდის გადაწყდება საკითხი საქართველოს ნაკრების შინ თამაშის შესახებ. ახალკაცმა თქვა, რომ ხუთივე მეტოქე თანახმაა თბილისში ითამაშონ: „გერმანიას და უელსს უკვე ნათამაშები აქვთ თბილისში, მოლდოვასთან კარგი ურთიერთობა გვაქვს, ალბანელები კი დღემდე, სტალინის ხათრით, ძმებად გვთვლიან. ასე რომ, არ გაგვჭირვებია და ამ დოკუმენტს ყველამ ხელი მოაწერა". საბოლოო სიტყვა მაინც უეფას ეკუთვნის. ის კი, ახალკაცის თქმით „აპრილის ბოლოს უეფას კონგრესზე ან ივლისში ევროთასების კენჭისყრისას მიიღებს გადაწყვეტილებას".

სამშაბათს ჩვენი ეროვნული ნაკრები ისრაელს მიფრინავს. ნაკრების ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ ამჯერად გუნდს ტყუპი არველაძეები და გია გურული გააძლიერებენ. მოკლედ, სასექტემბრო მზადება გრძელდება.

ზურაბ მექვილია




10 თებერვალი, ლა-ვალეტა, „ტა-ქალი"
მალტა — საქართველო 0:1

მალტა: კლუეტი, ბუხაჯარი (სალიბა 31), კამილერი, გუჩი (გალეა 46), ბრინკატი, ბუტიგეგი, გრეგორი, ველა, სპიტერი (კარდონა 74), ლაფერლა, სკერი.
საქართველო: ზოიძე, რევიშვილი, ცხადაძე, შელია (ბერაძე 75), კუდინოვი (სიდამონიძე 55), ყაველაშვილი, ნემსაძე, ჯამარაული, ქეცბაია, ქინქლაძე, ყიზილაშვილი.
გოლი: ქეცბაია (16, პენალტით).
გაფრთხილება: სპიტერი, ცხადაძე, შელია, ყაველაშვილი.
მსაჯი: დარკო იამსეკი (სლოვენია).

12 თებერვალი, ლა-ვალეტა, „ტა-ქალი"
საქართველო — ტუნისი 2:0

საქართველო: დევაძე, რევიშვილი, სიდამონიძე, შელია, კუდინოვი, გოგიჩაიშვილი, ნემსაძე, ჯამარაული, ბერაძე, ქინქლაძე, ყაველაშვილი (ყიზილაშვილი 80).
ტუნისი: ელ ქუერი, თაბეტი, ბერეხისა, სუისი, ალი მაჯუბი, მიზური, ბენსასი, ქიპი (ტრაბელსი 84), სუია (ტაპარ ბენი 73), აიედი მაჯუბი, სელიმი.
გოლები: ყაველაშვილი (48), კუდინოვი (61).
გაფრთხილება: კუდინოვი.
მსაჯი: ჩარლზ აგიუსი (მალტა).

## ზამთრის ოლიმპიადა

სადღეისოდ გათამაშებულია მედლების 17 კომპლექტი:

| | | | |
|---|---|---|---|
| ნორვეგია | 5 | 3 | 1 |
| რუსეთი | 4 | 5 | 2 |
| იტალია | 2 | 2 | 4 |
| აშშ | 2 | 2 | - |
| გერმანია | 2 | 1 | - |
| კანადა | 1 | - | 2 |
| პოლანდია | - | 1 | 2 |
| ავსტრია | - | 1 | 1 |
| ყაზახეთი | - | 1 | - |
| ფინეთი | - | - | 2 |
| იაპონია | - | - | 1 |
| საფრანგეთი | - | - | 1 |

ცხრილში შეტანილი არაა ქალთა გუშინდელი 3000 მეტრზე ციგურაობის შედეგები

### იუჰან-ოლაფ კოსი



ნორვეგიელმა მოციგურავემ ლილეჰამერში პირველმა მოიპოვა ორი ოქროს მედალი

### დღეს ორადგილიანი ციგით თიბილოვ-ვახტანგიშვილის წყვილი იასპარეზებს.

ჩვენებმა ახალი, ავსტრიული ციგით დაიწყეს ვარჯიში, რომელიც არ გამოადგათ და ისევ ძველზე გადასხდნენ, და თუმცა ვარჯიშებზე დისტანცია 50 წამზე ჩქარა ვერ გაიარეს, მაშინ, როდესაც საუკეთესონი 48-49 წამში ეტეოდნენ, იმედი მაინც არ გადაუწურავთ და ათეულში მოხვედრას შეეცდებიან. ტრამპლინიდან მხტომელი კახა წაქაძეც ემზადება ასპარეზობისთვის. ამასობაში საქართველოს დელეგაცია ხუან ანტონიო სამარანჩს ეწვია. სოკ-ის პრეზიდენტმა დაადასტურა, რომ აპრილში თბილისში ჩამოვა...

„სარბიელის" სპეციალური კორესპონდენტი ილია ბაბუნაშვილი ლილეჰამერიდან გვატყობინებს

## ჯუმბერ ლეჟავა: მოგზაურობა დედამიწის გარშემო

თბილისელმა ველომოგზაურმა უკანასკნელად იემენის არაბთა რესპუბლიკის დედაქალაქ სანადან რომ მოგვაწვდინა ხმა, ეს ინფორმაცია გასულ კვირას მოგაწოდეთ. ახლა კი მისმა სპონსორმა, საგამომგონებლო სამეცნიერო-საწარმო ფირმა „თემურ მაისურაძემ" ჯუმბერ ლეჟავასაგან მეორე იემენიდან, ამჯერად დემოკრატიული რესპუბლიკიდან მიიღო ფაქსი. ამ ქვეყნის დედაქალაქ ადენიდან გამოგზავნილ ცნობაში ლეჟავა იუწყება, რომ მოგზაურობის დაწყებიდან, ე.ი. შარშანდელი 13 აგვისტოდან დღემდე 10 სახელმწიფოში 16 ათასი კილომეტრი გაიარეო.

ლეჟავამ მოგზაურობის ბოლო ეტაპზე, სანადან ადენამდე, 500 კილომეტრზე მეტი მანძილი დაძლია. აქედან გადალახა ოთხი ისეთი უღელტეხილი, რომელთა სიმაღლე 3000 მეტრზე მაღლა მდებარეობდა. მერე მთებიდან ბარად დაეშვა და ქალაქ ტაიზიდან ადენამდე მონაკვეთზე 185 კილომეტრი უდაბნოში იარა. როგორც მოგზაური იუწყება, იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკიდან ომანის დედაქალაქ მასკატამდე მას ელის მეტად რთული მარშრუტი, რომელიც სულ უდაბნოში გადის, თუმცა, ელის კი არა, ახლა, როცა ამ სტრიქონებს კითხულობთ, ლეჟავას ალბათ იმ უდაბნოში საკმაო მანძილი ექნება დაძლეული.

ჯუმბერ ლეჟავა ადენიდან გამოგზავნილი ფაქსით იმასაც იტყობინება, რომ მოგზაურობის ბოლო ეტაპზე მას იატაკიდან ტანის მკლავებზე აზიდვაში საჩვენებელი გამოსვლები გაუმართავს სანაშიც ტაიზშიცა და ადენშიც. მისთვის ადენში რუსეთის საკონსულოს კარგი მიღება გაუმართავს, ხოლო რაც შეეხება ჟურნალ-გაზეთებისა თუ ტელევიზიის ლეჟავას მოგზაურობით დაინტერესებას, მას ფართო პრესა ჰქონია.

ახლა ისღა დაგვრჩენია, რომ არაბეთის ზღვის გაყოლებაზე გადაჭიმულ უდაბნოში გზის გასრულებას მოვუცადოთ, მანამ ჩვენი მოგზაური ომანის დედაქალაქში ჩააღწევს და იქიდან კვლავ ხმას მოგვაწვდენს.



## მონიკა სელეში წლეულს ვერ ითამაშებს

16 თებერვალს პარიზში გამოცხადდა, რომ ათი თვის წინ ზურგში ზებუთით დაჭრილ. იუგოსლავ მონიკა სელეშს წელს არცერთ შეჯიბრებაზე შეუტანია განაცხადი. როგორც მისმა წარმომადგენელმა ბრძანა, სელეში ისეა დათრგუნული, რომ მიახლოებითაც არ იცის, სარბიელს როდის დაუბრუნდებაო. ერთ დროს მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელი ქალი ამ კვირაში მსოფლიოს საუკეთესო ოცეულიდანაც გავარდა.

ელექტროენერგიასთან დაკავშირებული პრობლემების გამო დღევანდელი „სარბიელი" ოთხგვერდიანია

ეროვნული ბიბლიოთეკა



# დელი — მეოთხედ, ეგოროვა — მეხუთედ!

Lillehammer '94

სამშაბათი, 15 თებერვალი



სათხილამურო რბოლა. 5 კმ. კლასიკური სტილით. ქალები. 62 მონაწილე. ორი დღის წინანდელი 15-კილომეტრიანი რბოლის ჩემპიონმა და ვიცე-ჩემპიონმა ადგილები გაცვალეს: რუსი ლიუბოვ ეგოროვა თავიდან ბოლომდე ლიდერობდა და თუ 1,9 კილომეტრზე იტალიელ დი ჩენტას ექვსიოდ წამს უგებდა, ფინიშზე უპირატესობა 20 წამამდე გაზარდა და ოლიმპიური ჩემპიონი მეოთხედ გახდა. 38 წლის ფინელი, სარაევოს 1984 წლის ოლიმპიადის სამგზის ჩემპიონი მარია-ლიისა კირვესნიემი, ვისთვისაც ეს მეექვსე (!) ოლიმპიადაა, საშუალედო ფინიშზე მეორეც კი იყო, საბოლოოდ კი თავისი მეშვიდე ოლიმპიური მედალი მოიპოვა, სხვა ფავორიტებიდან იტალიელი ბელმონდო ექვსეულს მიღმა დარჩა, რუსი ვიალბე კი, რომელიც პირადულ რბოლებში მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონია, ოლიმპიადა კი ჯერ არ მოუგია, სტარტზე საერთოდ არ გამოსულა და ამით 17 თებერვლის 10-კილომეტრიან რბოლასაც გამოაკლდა. საქმე ისაა, რომ იმ რბოლის მონაწილეებს ამდღევანდლის შედეგებიც ეთვლებათ: სირბილს პირველად ეგოროვა დაიწყებს, 20 წამში მას კვალში დი ჩენტა ჩაუდგება, მერე — კირვესნიემი და ასე შემდეგ, იმისდა მიხედვით, თუ ვინ რამდენით ჩამორჩა 15 თებერვალს გამარჯვებულს. ფინიშთან ვინც პირველი მიიჭრება, გამარჯვებულიც ისაა.

ჩემპიონი: ლიუბოვ ეგოროვა, რუსეთი. ოლიმპიადებზე: I (10 კმ, 15 კმ, 4X5 კმ — 1992), II (5 კმ, 30 კმ — 1992). მსოფლიოს ჩემპიონატებზე: I (30 კმ, 4X5 კმ — 1991; 4X5 კმ — 1993), II (5 კმ — 1993), III (10 კმ, 30 კმ — 1993).



სამთო თხილამურები. სუპერგიგანტი. ქალები. ამერიკელებმა ლილეჰამერში უკვე მეორე ოქრო მიითვალეს. დაიან როუფი, ვისაც ჯერ კიდევ 1985 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი მოუგია გიგანტურ სლალომში, პირველი დაეშვა და საუკეთესო დრო ბოლომდე დაინარჩუნა. მის შემდეგ 18 წლის იტალიელი იზოლდე კოსტნერი წამოვიდა, ვინც 29 იანვრის ავსტრიელი ულრიკე მაიერისთვის საბედისწერო სწრაფდაშვება მოიგო მსოფლიოს თასზე, და როუფს კი ჩამორჩა, მაგრამ მეორე ადგილს ისიც ბოლომდე შეინარჩუნებდა, რომ არა რუსი სვეტლანა გლადიშევა, 1991 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მესამე პრიზიორი სწრაფდაშვებაში. მან თითქმის შეუძლებელი შეიძლო, 35-ე ნომრად წამოსულმა მეორე შედეგი აჩვენა (!) და რუსი სამთომოთხილამურეებიდან 1954 წლის შემდეგ პირველმა მოიგო ოლიმპიური მედალი. ფავორიტებიდან ამ სახეობაში შარშანდელი მსოფლიოს ჩემპიონი და თასის მფლობელი გერმანელი კატია ზაიცინგერი წაიქცა, მსოფლიო თასის აბსოლუტური გამარჯვებული ავსტრიელი ანიტა ვახტერი მეცხრე იყო, ალბერვილის ჩემპიონი სწრაფდაშვებაში კანადელი კერინ ლი-გარტნერი — მერვე, ფრანგი კაროლ მერლი — მეცხრამეტე.

ჩემპიონი: დაიან როუფი, აშშ. ოლიმპიადებზე: II (გიგანტური სლალომი — 1992); მსოფლიოს ჩემპიონატებზე: I (გიგანტური სლალომი — 1985).



ფიგურული სრიალი. წყვილები. 15 თებერვლის ორიგინალური პროგრამის შემდეგ ლიდერები არ შეცვლილან: ოლიმპიური ჩემპიონები მეორედ გახდნენ რუსი ცოლ-ქმარი ეკატერინა გორდეევა — სერგეი გრინკოვი, რომლებმაც სამოყვარულო სპორტი 1990 წელს მიატოვეს, წელს პირი უკან ჰქნეს და ოლიმპიადამდე ევროპის ჩემპიონობაც მოასწრეს.

ჩემპიონები: ეკატერინა გორდეევა — სერგეი გრინკოვი, რუსეთი. ოლიმპიადებზე: I (1988); მსოფლიოს ჩემპიონატებზე: I (1986, 1987, 1989, 1990), II (1988).

ოთხშაბათი, 16 თებერვალი.



ციგაობა. ქალები. 25 მონაწილე. წინადღით გამართული პირველი ორი დაშვების შემდეგ 26 წლის იტალიელმა გერდა ვაისენშტაინერმა სოლიდური მარაგი შეიქმნა, რომელიც მეორე დღეს კიდევ უფრო განამტკიცა. ავსტრიელი ტყუპები, ალბერვილის ტრიუმფატორი ნოინერები უმედლოდ დარჩნენ: ვიცე-ჩემპიონმა ანგელიკამ პირველი დღის შემდეგ მესამე ადგილი ვერ შეინარჩუნა, ჩემპიონი, დორისი კი ოთხი დაშვების ჯამში მეათე იყო.

ჩემპიონი: გერდა ვაისენშტაინერი, იტალია. მსოფლიოს ჩემპიონატებზე: I (1993).



ციგურაობა. 1500 მ. ვაჟები. 44 მონაწილე. ამ დისტანციაზე წინა ოლიმპიადის ჩემპიონმა, ნორვეგიელმა კოსმა ლილეჰამერში პირველმა მოიპოვა მეორე ოქროს მედალი, და თან მეორე მსოფლიოს რეკორდიც დაამყარა. არადა, ფინიშამდე ერთი წრით ადრე მას ორი ჰოლანდიელი უსწრებდა: აწ უკვე ექს-რეკორდსმენი რინტიე რიიტსმა და ფალკო ზანდსტრა, რომლებიც საბოლოოდ კოსს კი ჩამორჩნენ, მაგრამ კიდევ ერთი ნორვეგიელი, ამ დისტანციაზე ალბერვილის ვიცე-ჩემპიონი ადნე სიონდრალი ამჯერად უმედლოდ დატოვეს.



ფრისტაილი. მოგული. ქალები, ვაჟები. 15 თებერვლის საკვალიფიკაციო დაშვებებმა 16-16 ფინალისტი გამოავლინა, თუმცა აქ ნაჩვენები შედეგები ფინალში აღარ ითვლებოდა. ქალებში ალბერვილის ვიცე-ჩემპიონმა რუსმა კოჟევნიკოვამ ოკრობოკრო ფერდობზე საუკეთესო დრო აჩვენა, თუმცა მესამე ადგილზე დარჩა: ხტომებში უკეთესი ტექნიკა ნორვეგიელ ჰატესტადსა და ამერიკელ მაკინტაირს აღმოაჩნდათ. ალბერვილის ჩემპიონი ამერიკელი დონა ვაინბრეხტი მეშვიდე იყო. ვაჟებში ფავორიტმა, კანადელმა ბრასარმა გაიმარჯვა, რომელმაც წინა ოლიმპიადის ჩემპიონს ფრანგ გროსპირონს აჯობა. ამათ შორის კი მეორე ადგილზე „გამოეჩხირა" რუსი შუპლეცოვი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, ოღონდ საფრისტაილო სამჭიდში, სადაც მოგულის გარდა აკრობატული ხტომები და ბალეტიც შედის. ამ ოლიმპიადაზე ხტომებიც გაიმართება.

ჩემპიონები: სტინე ლისე ჰატესტადი, ნორვეგია. მსოფლიოს ჩემპიონატებზე: I (1993), ოლიმპიადაზე: III (1992).
ჟან-ლუკ ბრასარი, კანადა. მსოფლიოს ჩემპიონატებზე: I (1993).

ხუთშაბათი, 17 თებერვალი.



სათხილამურო რბოლა. 10 კმ კლასიკური სტილით. ვაჟები. 87 მონაწილე. ალბერვილის სამგზის ჩემპიონმა ნორვეგიელმა ბიორნ დელიმ 14 თებერვლის „ვერცხლი" ოქროზე გადაცვალა. პრიზიორები სხვადასხვა დროის მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ: მესამე 1987 წლის ჩემპიონი იტალიელი ალბარელო გახდა, მეორე — 1989 წლისა — ყაზახი სმირნოვი. ვეგარდ ულვანგი, რომელიც მხოლოდ 50 კილომეტრის სირბილს აპირებდა, მოკეთდა და მეშვიდე შედეგი აჩვენა. მან ლიდერს 47,9 წამით ჩამორჩა და ახლა 19 თებერვალს 15 კილომეტრიან რბოლაში დელის სწორედ ამ დროის შემდეგ ჩაუდგება კვალში: იმ რბოლაში ხომ ამდღევანდლის შედეგებიც ჩაითვლება. 30-კილომეტრიან რბოლაში გამარჯვებული თომას ოლსგარდი (თურმე სწორედ ასე გამოითქმება მისი გვარი) 24-ე იყო და ცხრამეტში მედლებისთვის ბრძოლა გაუჭირდება.

ჩემპიონი: ბიორნ დელი, ნორვეგია. ოლიმპიადებზე: I (15 კმ, 50 კმ, 4X10 კმ — 1992), II — (30 კმ — 1992, 30 კმ — 1994). მსოფლიოს ჩემპიონატებზე: I (15 კმ, 4X10 კმ — 1991; 15 კმ, 30 კმ, 4X10 კმ — 1993), III (50 კმ — 1993).



სათხილამურო რბოლა. 10 კმ. თავისუფალი სტილით. ქალები. ლიუბოვ ეგოროვამ 20 წამიანი სხვაობა უკვე მე-2 კილომეტრზე 26-მდე აიყვანა და მერე დი ჩენტამ ტემპს უმატა, თუმცა ფინიშზე 8 წამი მაინც წააგო. ეგოროვა ლილეჰამერის ორგზის, საერთოდ კი ხუთგზის ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. სტეფანია ბელმონდომ მე-13 ადგილიდან მესამეზე გადაინაცვლა.



სამთო თხილამურები. სუპერგიგანტი. ვაჟები. 51 მონაწილე. ვეტერანმა გერმანელმა მარკუს ვასმაიერმა აჯობა სწრაფდაშვების ჩემპიონსა და ვიცე-ჩემპიონს მოსა და ომოდტს, უიღბლოდ გამოვიდნენ შვეიცარელები: დანიელ მარერი და ვილიამ ბესე ტრასაზე წაიქცნენ.

ჩემპიონი: მარკუს ვასმაიერი, გერმანია. მსოფლიოს ჩემპიონატებზე: I (გიგანტური სლალომი — 1987).




მარკუს ვასმაიერი



ჰოკეი. ჯგუფური ტურნირი. A ჯგუფი: 12 თებერვალი. ფინეთი — ჩეხეთი 3:1, გერმანია — ავსტრია 4:3, რუსეთი — ნორვეგია 5:1. 14 თებერვალი. გერმანია — ნორვეგია 2:1, ფინეთი — რუსეთი 5:0, ჩეხეთი — ავსტრია 7:3. 16 თებერვალი. რუსეთი — ავსტრია 9:1, ფინეთი — ნორვეგია 4:0, ჩეხეთი — გერმანია 1:0.

B ჯგუფი. 13 თებერვალი. შვედეთი — სლოვაკეთი 4:4, საფრანგეთი — აშშ 4:4, კანადა — იტალია 7:2. 15 თებერვალი. შვედეთი — იტალია 4:1, კანადა — საფრანგეთი 3:1, აშშ — სლოვაკეთი 3:3. 17 თებერვალი. სლოვაკეთი — იტალია 10:4.

ჯგუფებში ოთხ-ოთხი საუკეთესო გუნდი შემდეგ ოლიმპიური სისტემით, გავარდნაზე ითამაშებს.

ილია ბაბუნაშვილი,
ტელეფონით ლილეჰამერიდან

## 15 თებერვალი

სათხილამურო რბოლა. ქალები. 5 კმ კლასიკური სტილით

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ლიუბოვ ეგოროვა | რუსეთი | — 14.08,8 |
| 2 | მანუელა დი ჩენტა | იტალია | — 14.28,3 |
| 3 | მარია-ლიისა კირვესნიემი | ფინეთი | — 14.36,0 |
| 4 | ანიტა მუნი | ნორვეგია | — 14.39,4 |
| 5 | ინგერ-ჰელენ ნიუბროტენი | ნორვეგია | — 14.43,6 |
| 6 | ლარისა ლაზუტინა | რუსეთი | — 14.44,2 |

სამთო თხილამურები. ქალები. სუპერგიგანტი

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | დაიან როუფი | აშშ | — 1.22,15 |
| 2 | სვეტლანა გლადიშევა | რუსეთი | — 1.22,44 |
| 3 | იზოლდე კოსტნერი | იტალია | — 1.22,45 |
| 4 | პერნილა ვიბერგი | შვედეთი | — 1.22.67 |
| 5 | მორენა გალიციო | იტალია | — 1.22,73 |
| 6 | კატარინა გუტენზონი | გერმანია | — 1.22,84 |

ფიგურული სრიალი. წყვილები

| | | |
|---|---|---|
| 1 | ეკატერინა გორდეევა — სერგეი გრინკოვი | რუსეთი |
| 2 | ნატალია მიშკუტიონოკი — არტურ დმიტრიევი | რუსეთი |
| 3 | იზაბელ ბრასერი — ლოიდ აისლერი | კანადა |
| 4 | ევგენია შიშკოვა — ვადიმ ნაუმოვი | რუსეთი |
| 5 | ჯენი მინო — ტოდ სანდი | აშშ |
| 6 | რადკა კოვარჟიკოვა — რენე ნოვოტნი | ჩეხეთი |

## 16 თებერვალი

ციგაობა. ქალები

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | გერდა ვაისენშტაინერი | იტალია | — 3.15,517 |
| 2 | სუზი ერდმანი | გერმანია | — 3.16,276 |
| 3 | ანდრეა ტაგვერკერი | ავსტრია | — 3.16,652 |
| 4 | ანგელიკა ნოინერი | ავსტრია | — 3.16,901 |
| 5 | ნატალი ობკირხერი | იტალია | — 3.16,937 |
| 6 | გაბი კოლიში | გერმანია | — 3.17,197 |

ციგურაობა. ვაჟები. 1500 მ.

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | იუჰან-ოლაფ კოსი | ნორვეგია | — 1.51,29 |
| 2 | რინტიე რიიტსმა | ჰოლანდია | — 1.51,99 |
| 3 | ფალკო ზანდსტრა | ჰოლანდია | — 1.52,38 |
| 4 | ადნე სიონდრალი | ნორვეგია | — 1.53,13 |
| 5 | ანდრეი ანუფრიენკო | რუსეთი | — 1.53,16 |
| 6 | პეტერ ადებერგი | გერმანია | — 1.53,60 |

ფრისტაილი. ქალები: მოგული.

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | სტინე-ლიზე ჰატესტადი | ნორვეგია | — 25,97 |
| 2 | ელიზაბეთ მაკინტაირი | აშშ | — 25,89 |
| 3 | ელიზავეტა კოჟევნიკოვა | რუსეთი | — 25,81 |
| 4 | რაფაელ მონო | საფრანგეთი | — 25,17 |
| 5 | კანდის ჟილი | საფრანგეთი | — 24,82 |
| 6 | ტატიანა მიტერმაიერი | გერმანია | — 24,43 |

ფრისტაილი. ვაჟები. მოგული.

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ჟან-ლუკ ბრასარი | კანადა | — 27,24 |
| 2 | სერგეი შუპლეცოვი | რუსეთი | — 26,90 |
| 3 | ედგარ გროსპირონი | საფრანგეთი | — 26,64 |
| 4 | ოლივიე კოტე | საფრანგეთი | — 25,79 |
| 5 | იორგენ პაეაეიარვი | შვედეთი | — 25,51 |
| 6 | ოლივიე ალამონი | საფრანგეთი | — 25,28 |

## 17 თებერვალი

სათხილამურო რბოლა. ვაჟები. 10 კმ. კლასიკური სტილით

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ბიორნ დელი | ნორვეგია | — 24.20,1 |
| 2 | ვლადიმერ სმირნოვი | ყაზახეთი | — 24.38,3 |
| 3 | მარკო ალბარელო | იტალია | — 24.42,3 |
| 4 | მიხაილ ბოტვინოვი | რუსეთი | — 24.58,9 |
| 5 | სტურე სივერტსენი | ნორვეგია | — 24.59,7 |
| 6 | მიკა მილილაე | ფინეთი | — 25.05,3 |

სათხილამურო რბოლა. ქალები. 10 კმ. თავისუფალი სტილით
(15 თებერვლის 5-კილომეტრიანი რბოლის შედეგთა გათვალისწინებით)

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ლიუბოვ ეგოროვა | რუსეთი | — 41.38,1 |
| 2 | მანუელა დი ჩენტა | იტალია | — 41.46,4 |
| 3 | სტეფანია ბელმონდო | იტალია | — 42.18,1 |
| 4 | ლარისა ლაზუტინა | რუსეთი | — 42.36,6 |
| 5 | ნინა გავრილიუკი | რუსეთი | — 42.36,9 |
| 6 | კატარინა ნოიმანოვა | ჩეხეთი | — 42.49,8 |

სამთო თხილამურები. ვაჟები. სუპერგიგანტი

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | მარკუს ვასმაიერი | გერმანია | — 1.32,53 |
| 2 | ტომი მო | აშშ | — 1.32,61 |
| 3 | ჩეტილ-ანდრე ომოდტი | ნორვეგია | — 1.32,93 |
| 4 | მარკ ჟირარდელი | ლუქსემბურგი | — 1.33,07 |
| 5 | ვერნერ პერატონერი | იტალია | — 1.33,10 |
| 6 | ატლე სკაარდალი | ნორვეგია | — 1.33,31 |

გუშინ გამართულ ქალთა 3000 მეტრზე ციგურაობის შედეგებს მომდევნო ნომერში გამოვაქვეყნებთ

# „თბილისური ზამთარი“

დღეს, როდესაც ქვეყანა შავ დღეშია, ქართულ ფეხბურთსაც ძალიან უჭირს. უსახსრობის გამო გუნდები იშლებიან, ფეხბურთელები საზღვარგარეთ გარბიან, პარტახდება ისედაც მწირი ჩვენი საფეხბურთო მეურნეობა. ალბათ ბავშვთა ფეხბურთი არავის უნდა ახსოვდეს, მაგრამ დღეს კიდევ არსებობენ საქართველოში ადამიანები, რომელთაც იციან, რომ თუ ბავშვთა ფეხბურთი დაიღუპა, ქართული ფეხბურთი ინერციით რამდენიმე წელსღა თუ იარსებებს.

ბავშვთა ფეხბურთის ერთ-ერთი მოამაგენი არიან ს.ჯ. „მეტეხი 91“-ის მენეჯერი ვალიკო თვალჭრელიძე და მისი ძმა თემური, რომელიც ამავე გუნდში მწვრთნელად მუშაობს. სწორედ მათი ინიციატივით „ქარიშხალას“ დარბაზში თითქმის ერთი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა ბავშვთა ორ ასაკობრივ ჯგუფში ტურნირი, რომელსაც „თბილისური ზამთარი“ ერქვა.

1978-79 წლებში დაბადებულ ბავშვთა შეჯიბრში ექვსი გუნდი მონაწილეობდა თბილისიდან და რუსთავიდან. პირველ ეტაპზე გუნდებმა წრიულად იასპარეზეს. პირველმა ოთხეულმა შემდეგ ფინალურ ეტაპზე გააგრძელა ბრძოლა. ნახევარფინალში „მთვარის გლობუსმა“ (თბილისი) ორჯერ მოუგო ორთაბრძოლა რუსთავის „მამულს“ 2:1 და 3:2. მეორე ნახევარფინალში რუსთავის „მერანმა“ თბილისის „მეტეხი 91“ დაამარცხა 5:2 და 3:2. ფინალში „მერანმა“ (მწვრთნელი გოდერძი ტალახაძე) „მთვარის გლობუსს“ (გია მაისურაძე, გოჩა ცეცაძე) სძლია 3:0 და ლამაზი თასი დაისაკუთრა. ინდივიდუალური პრიზები მოიპოვეს: საუკეთესო მეკარისა — ანზორ ცუხიშვილმა („მთვარის გლობუსი“), მცველისა — ზურაბ ბაბილეიშვილმა („მამული“), ნახევარმცველისა — დავით რობაქიძემ („მეტეხი 91“), თავდამსხმელისა — კახა მენთეშაშვილმა („მეტეხი 91“). მანვე მოიპოვა საუკეთესო ბომბარდირის პრიზიც (13 გოლი). ტურნირის საუკეთესო მოთამაშე გახდა ვალერი ზირაქაძე („მერანი“). ხოლო ყველაზე პერსპექტიულ მოთამაშედ აღიარეს ტურნირის მონაწილეთა შორის ყველაზე პატარა — ოთარ კორღალიძის ვაჟი ლევანი (1980 წ.), რომელიც მალე ვენის „ვინერ შპორტკლუბში“ ახალგაზრდულ გუნდში გააგრძელებს დოსტატებას.

1982 წელს დაბადებულ ბავშვთა ტურნირიც ანალოგიური სისტემით ჩატარდა. ნახევარფინალში რუსთავის „იმედმა“ სძლია „დინამოს“ 3:2 და 1:0, „მეტეხი91“-მა კი „ავაზა“ დაამარცხა 5:1, 3:1. ფინალში „იმედმა“ (მწვრთნელი თამაზ დოდაშვილი) 1:0 მოუგო „მეტეხს“ (მერაბ წიკლაური, თემურ თვალჭრელიძე). ინდივიდუალური პრიზები აქ ასე განაწილდა: მეკარე — ბესიკ ახვერდაშვილი („იმედი“), მცველები — გიორგი კირვალიძე („დინამო“) და იური მანჩხავა („მეტეხი 91“), ნახევარმცველი — ბექა ნოზაძე („მეტეხი91“), გამთამაშებელი — დავით სტურუა („დინამო“), მარჯვენა გარემარბი — ლევან სანიკიძე („დინამო“), მარცხენა გარემარბი — მამუკა ტაბატაძე („მეტეხი 91“), ბომბარდირი — კოტე გიორგაშე („მეტეხი 91“). ყველაზე პერსპექტიულ მოთამაშედ აღიარეს 1983 წელს დაბადებული დავით ქოქიაშვილი („იმედი“).

ტურნირის ორგანიზატორები მადლობას უხდიან „ქარიშხალას“ დარბაზის დირექტორის მოადგილეს იაშა ჯანგავაძეს და მსაჯს კახა კეკელიძეს, რომელიც მთელ ტურნირს მოემსახურა.*

მამუკა კვანტალიანი

# STRIKER News

„ყოველმხრივ მზად ვარ მონაწილეობა მივიღო მსოფლიოს ჩემპიონატში“ — განუცხადებია დიეგო მარადონას, რომელმაც ამას წინად ჟურნალისტებს პნევმატური თოფი ესროლა და ახლა საქმე კვლავ სასამართლოსთან აქვს. მარადონას თამაში კი სურს, მაგრამ ნაკრების მწვრთნელი ალფიო ბასილე ჯერჯერობით დუმს. ანდა ხმას როგორ ამოიღებს — მისი შეგირდი ხომ ახალ-ახალ ფათერაკებში ეხვევა: გასული კვირის ბოლოს იგი ბუენოს-აირესიდან 600 კილომეტრით დაშორებულ ერთ-ერთი ქალაქის ბარში ნახეს, როცა მისი ექვსი ძმაკაცი ვიღაც ფოტოგრაფს (კვლავ!) ურტყამდა.

ბრაზილიელმა რომარიომ ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნა, რომ ნაკრების თავდასხმას მე, ბებეტო და ედმუნდო უნდა შევადგენდეთო. მან გააკრიტიკა მიულერი, რომელზეც თქვა, რომ იგი მხოლოდ კლუბში თამაშობს ხეირიანადო. ეს არ მოეწონა ნაკრების მწვრთნელის თანაშემწეს მარიო ზაგალოს, რომელსაც უთქვამს: ეს მწვრთნელის კარლოს ალბერტო პერეირას საქმეა და გუნდის დაკომპლექტებას რომარიოს არავინ ეკითხება, ამიტომ ამ საკითხზე სჯობია აღარ ილაპარაკოსო.

ბულგარეთის ნაკრების მოთამაშესა და „ვალენსიის“ კაპიტან ლუბოსლავ პენევს გაუცდება მსოფლიო პირველობა. იგი საავადმყოფოში მიაბრძანეს, სადაც ერთი ინტიმური ადგილის მეორე ოპერაცია ელის.

აშშ-ის ნაკრებმა, რომელსაც ბოლო დროს გამართულ თამაშებში ბოლო წუთებზე გაჰქონდა ბურთები, მარცხი იწვნია ჰონკონგში გამართულ „კარლსბერგის თასზე“. ნახევარფინალში ამერიკელებმა პენალტებით 3:4 წააგეს დანიასთან, მესამე ადგილისათვის კი რუმინეთთან დამარცხდნენ 1:2: რუმინელთაგან გადამწყვეტი ბურთი 72-წუთზე პენალტით გაუტანია 25 წლის ილიტე დიმიტრესკუს, რომლისთვისაც სრულიად რუმინეთის კათოლიკოს-პატრიარქს თეოქტისტს იანვარში დაბადების დღეზე ბიბლიის იშვიათი გამოცემა უჩუქნია და მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ სტადიაზე გასვლა მიულოცავს. პენალტი საჭოჭმანო ვითარებაში დანიშნულა: ამერიკელთა მეკარე მეოლას დუმიტრესკუს ფეხთით გდებული ბურთი აუცლია, მაგრამ მსაჯს დარღვევა შეუნიშნავს. წაგების გამო ამერიკელთა მწვრთნელ ბორა მილუტინოვიჩს უთქვამს, ფეხბურთი უცნაური რამეაო. ესე კარგად წელს ჯერ არ გვითამაშია, მაგრამ ბოლო ადგილზე გავედითო. ფინალში დანიამ დაამარცხა მასპინძელი ჰონკონგი 2:0 და მშობლიური ლუდის ფირმის თასიც დაიბრუნა.

# ფეხბურთის



# რუკასთან

იაპონიის ნაკრების მწვრთნელად დაინიშნა ბრაზილიის ნაკრებისა და „რომას“ ყოფილი ფეხბურთელი რობერტო ფალკაო. მან შეცვალა ჰოლანდიელი ჰანს უფტი, რომელიც ნოემბერში გადადგა. ფალკაო გუნდს უხელმძღვანელებს აზიის თამაშებამდე, რომელიც ოქტომბერში გაიმართება ჰიროსიმაში.

საფრანგეთის ჩემპიონ მარსელის „ოლიმპიკის“ შერისხულ პრეზიდენტ ბერნარ ტაპის საგამოძიებლო მაგისტრატმა უბრძანა, რომ 20 აპრილამდე კლუბიდან ერთხელ და სამუდამოდ წაბრძანდეს. გაირკვა, რომ ტაპის საქმეს იძიებენ. მას ბრალდება კორუფცია და მოწმეთა ჩვენებების შეცვლევინების მცდელობა. ტაპი 250 ათასი ფრანკის თავდებითაა თავისუფალი.

ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრების მწვრთნელად დაინიშნა ბრაიან ჰამილტონი. მას 15-ჯერ უთამაშია ნაკრებში, უწვრთნია „ტრანმიარი“, „ლესტერი“, „ვიგანი“, ხოლო უთამაშია „ვინფილდში“, „იფსვიჩში“, „ევერტონში“, „მილუოლში“, „სვინდონში“ და „ტრანმიარში“.

# ესპანეთი

XXIII ტური. 12-13 თებერვალი. ატლეტიკი — რაიო ვალეკანო 0:0, ლერიდა — ლოგრონიესი 1:1, ტენერიფე — ვალენსია 1:0, ლა კორუნია — სევილია 2:0, ვალიადოლიდი — რეალ სოსიედადი 0:0, ოსასუნა — ალბასეტე 3:1, სარაგოსა — ბარსელონა 6:3, სანტანდერი — სელტა 2:1, ატლეტიკო — სპორტინგი 2:0, ოვიედო — რეალი 0:1.

„ჩემპიონობისათვის ბრძოლა ჯერ არ დამთავრებულა“ — განაცხადა იოჰან კრუიფმა „სარაგოსასთან“ სამარცხვინოდ წაგებული მატჩის შემდეგ და გაიხსენა რამოდენიმე წლის წინანდელი ამბავი, როცა ჰოლანდიის ჩემპიონატში „ფეიენოორდმა“ ასეთივე ანგარიშით დაამარცხა „აიაქსი“, მაგრამ ჩემპიონი მაინც ამსტერდამი გახდა. ოპტიმისტური განცხადება ვერ უშველიდა „ბარსას“ ქომაგებს, რომელთაც იმ დღეს ტრაგედია ჰქონდათ — 32 წელია, რაც „ბარსელონას“ საკუთარ კარში ექვსი გოლი არ მიუღია და რაც მთავარია, წლევანდელ ჩემპიონატში პირველად „ბარსას“ მადრიდის „რეალმა“ გადაასწრო. „სარაგოსას“ 6 გოლიდან სამი არგენტინელთა ანგარიშზეა (კასერესი, ესნაიდერი — 2), დამარცხებულთაგან კი მიქაელ ლაუდრუპმა და ორჯერ რომარიომ იმარჯვეს. ბრაზილიელი 18 გოლით სნაიპერთა დავაში კვლავ პირველ ადგილზეა. „ლა-კორუნიამ“ გააქარწყლა წინა კვირას „რეალთან“ თამაშში ნაჩვენები საცოდავი სანახაობა და ბებეტოსა და გონსალესის გოლებით მოიგო. უკვე 2:0-ზე „სევილიის“ ხორვატმა დავორ შუკერმა პენალტიდან ბურთი ძელს გაარტყა. ამასობაში მეორე ადგილზე გადავიდა „რეალი“ — 44-ე წუთზე იერომ მარცხენა ფეხით შესანიშნავად დაარტყა. აქამდე მეხუთე ადგილზე მყოფმა „ატლეტიკმა“ მოულოდნელად 0:0 ითამაშა აუტსაიდერ „რაიო ვალეკანოსთან“, „ატლეტიკომ“ კი პოლონელი ურბანისა და დანიური წარმოშობის ესპანელი კრისტიანსენის ზუსტი დარტყმებით გაიმარჯვა. სხვა შეხვედრებშიც უცხოელებმა გამოიჩინეს თავი: „ლერიდა“ — „ლოგრონიესის“ მატჩში ანგარიში მასპინძელთა ბოსნიელმა ნიკოლა მილინკოვიჩმა გახსნა, თუმცა ოლეგ სალენკომ თავისი მორიგი გოლი გაიტანა და გუნდს ქულა შესძინა. „ტენერიფეს“ ერთადერთი გოლი კი არგენტინელი დერტისიას ანგარიშზეა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლა კორუნია (3) | 23 | 14 | 6 | 3 | 31-9 | 34 |
| რეალი (2) | 23 | 12 | 5 | 6 | 32-24 | 29 |
| ბარსელონა (1) | 23 | 12 | 4 | 7 | 46-30 | 28 |
| ატლეტიკი (8) | 23 | 11 | 5 | 7 | 38-26 | 27 |
| სპორტინგი (13) | 23 | 12 | 3 | 8 | 33-25 | 27 |
| სოსიედადი (12) | 23 | 9 | 7 | 7 | 27-29 | 25 |
| სარაგოსა (9) | 23 | 10 | 4 | 9 | 41-32 | 24 |
| სანტანდერი (დ) | 23 | 9 | 6 | 8 | 23-21 | 24 |
| ალბასეტე (17) | 23 | 7 | 10 | 6 | 32-31 | 24 |
| ტენერიფე (5) | 23 | 10 | 4 | 9 | 30-34 | 24 |
| სევილია (7) | 23 | 7 | 9 | 7 | 29-24 | 23 |
| ოვიედო (16) | 23 | 7 | 9 | 7 | 24-27 | 23 |
| ატლეტიკო (6) | 23 | 7 | 8 | 8 | 35-29 | 22 |
| ვალენსია (4) | 23 | 8 | 6 | 9 | 25-31 | 22 |
| ლოგრონ. (15) | 23 | 5 | 9 | 9 | 28-34 | 19 |
| სელტა (11) | 23 | 6 | 7 | 10 | 20-28 | 19 |
| რაიო ვალ. (14) | 23 | 7 | 5 | 11 | 29-41 | 19 |
| ვალიადოლ. (დ) | 23 | 4 | 9 | 10 | 17-31 | 17 |
| ოსასუნა (10) | 23 | 5 | 5 | 13 | 19-36 | 15 |
| ლერიდა (დ) | 23 | 4 | 7 | 12 | 14-31 | 15 |

# იტალია

XXIII ტური. 13 თებერვალი. ლაციო — კალიარი 4:0, ფოჯა — რეჯანა 1:0, უდინეზე — ნაპოლი 3:1, იუვენტუსი — ლეჩე 5:1, პიაჩენცა — ინტერი 2:1, მილანი — კრემონეზე 1:0, პარმა — სამპდორია 2:1, ატალანტა — რომა 1:1, ჯენოა — ტორინო 1:1.

ტურის ცენტრალური მატჩი „პარმასა“ და „სამპდორიას“ შორის იგივე სცენარით წარიმართა, როგორც შუა კვირაში ამ გუნდების გენუაში ჩატარებული სათასო შეხვედრა — ახლაც სტუმრები იგებდნენ (იუგოვიჩი, 28), მაგრამ მასპინძლებმა მაინც გაიმარჯვეს. ოლონდ ამჯერად გადამწყვეტი გოლი მაშინ გავიდა, როცა მსაჯის მიერ დამატებული მესამე წუთი მიმდინარეობდა: ძოლამ მშვენივრად ჩაახვია საჯარიმო დარტყმა. უიღბლო გამოდგა „ინტერის“ ახალი მწვრთნელის ჯან-პიერო მარინის დებიუტი. უკვე მე-13 წუთზე მილანელმა ორლანდომ თავის კარში ჩაჭრა ბურთი და მართალია, ბატისტინიმ 47-ზე გაქვითა ანგარიში, გამარჯვება მაინც მასპინძლებს დარჩათ (ტურინი, 52). „იუვენტუსმა“ გაანადგურა „ლეჩე“ რობერტო ბაჯოს, მიოლერის, რავანელის (2) და მაროკის გოლებით, რომელსაც აუტსაიდერმა განელი კამე აიევის კინკილა დარტყმით უპასუხა. აიშვა „ლაციომაც“: სამი გოლი „კალიარის“ კარში ჯუზეპე სინიორიმ გაიტანა (ამ სეზონში ეს მისი უკვე მეორე ჰეტ-ტრიკია), მეოთხე კი პოლ გასკოინმა, რომელმაც მატჩზე დამსწრე ინგლისის ნაკრების ახალ მწვრთნელს ტერი ვენეიბლზს თავი შეახსენა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი (1) | 23 | 14 | 8 | 1 | 26-8 | 36 |
| იუვენტუსი (4) | 23 | 11 | 9 | 3 | 40-20 | 31 |
| პარმა (3) | 23 | 13 | 5 | 5 | 36-17 | 31 |
| სამპდორია (7) | 23 | 13 | 4 | 6 | 45-30 | 30 |
| ლაციო (5) | 23 | 11 | 7 | 5 | 34-24 | 29 |
| ინტერი (2) | 23 | 9 | 7 | 7 | 34-25 | 25 |
| ნაპოლი (11) | 23 | 8 | 8 | 7 | 34-28 | 24 |
| ტორინო (9) | 23 | 8 | 8 | 7 | 29-24 | 24 |
| ფოჯა (12) | 23 | 6 | 11 | 6 | 32-27 | 23 |
| პიაჩენცა (დ) | 23 | 7 | 8 | 8 | 22-31 | 22 |
| რომა (10) | 23 | 5 | 11 | 7 | 20-23 | 21 |
| კალიარი (6) | 23 | 6 | 9 | 8 | 29-39 | 21 |
| კრემონეზე (დ) | 23 | 7 | 6 | 10 | 26-29 | 20 |
| უდინეზე (14) | 23 | 5 | 9 | 9 | 20-31 | 19 |
| ჯენოა (13) | 23 | 4 | 10 | 9 | 16-29 | 18 |
| რეჯანა (დ) | 23 | 5 | 7 | 11 | 16-27 | 17 |
| ატალანტა (8) | 23 | 4 | 8 | 11 | 22-40 | 16 |
| ლეჩე (დ) | 23 | 1 | 5 | 17 | 17-45 | 7 |

# გერმანია

XXI ტური. 11-16 თებერვალი. ჰამბურგი — ფრაიბურგი 1:1, მიონხენგლადბახი — კარლსრუე 1:2, დუისბურგი — ლაიპციგი 2:1, დორტმუნდი — ლევერკუზენი 1:0, აინტრახტი — ნიურნბერგი 1:1, ვერდერი — კაიზერსლაუტერნი 2:0, ვატენშაიდი — დინამო 1:1, ბაიერნი — შტუტგარტი 1:3, ქიოლნი — შალკე 1:1.

„აინტრახტმა“ მოულოდნელად შინიდან ქულა გაატანა „ნიურნბერგს“, მაგრამ ასევე მოულოდნელად სატურნირო ცხრილში მაინც პირველ ადგილზე აღმოჩნდა — მთავარმა კონკურენტებმა ქულაც კი ვერ აიღეს და თუ ლევერკუზენის წაგებას ბევრი ელოდა, ბეკენბაუერის ასეთ დებიუტს მარცხლაც ვერავინ იწინასწარმეტყველებდა: ფრანცის გაწვრთნილმა „ბაიერნმა“ საცოდავი შთაბეჭდილება დატოვა და შინ წააგო. რაც შეეხება ლევერკუზენს, მან ორ ქულასთან ერთად დროებით ულფ კირსტენიც დაკარგა ტრავმის გამო. დორტმუნდელთაგან კი გოლი შაპუიზამ შეაგდო. მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა ჩემპიონთა ლიგის ბინადარმა „ვერდერმა“, ვინაც ბრატსეტისა და ბოდეს გოლებით „კაიზერსლაუტერნს“ უკვე მე-18 წუთისთვის მოუღო ბოლო. გუშინწინ „კიოლნი“ აგებდა შინ „შალკესთან“, მაგრამ კონმა იხსნა მასპინძლები.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აინტრახტი (3) | 21 | 10 | 6 | 5 | 36-25 | 26 |
| ლევერკუზ. (5) | 21 | 9 | 7 | 5 | 40-28 | 25 |
| ვერდერი (1) | 21 | 9 | 7 | 5 | 32-23 | 25 |
| დუისბურგი (დ) | 21 | 9 | 7 | 5 | 28-30 | 25 |
| ბაიერნი (2) | 21 | 8 | 8 | 5 | 43-26 | 24 |
| კაიზერსლ. (8) | 21 | 10 | 4 | 7 | 39-28 | 24 |
| ჰამბურგი (11) | 21 | 10 | 4 | 7 | 35-30 | 24 |
| კარლსრუე (6) | 21 | 7 | 8 | 6 | 29-23 | 22 |
| დორტმუნ. (4) | 21 | 8 | 6 | 7 | 30-31 | 22 |
| გლადბახი (9) | 21 | 8 | 5 | 8 | 42-40 | 21 |
| ფრაიბურგი (დ) | 21 | 7 | 6 | 8 | 37-37 | 20 |
| შტუტგარ. (7) | 21 | 6 | 8 | 7 | 29-32 | 20 |
| კიოლნი (12) | 21 | 8 | 4 | 9 | 25-29 | 20 |
| დინამო (15) | 21 | 6 | 9 | 6 | 22-30 | 17 |
| ნიურნბერ. (13) | 21 | 6 | 4 | 11 | 25-34 | 16 |
| ვატენშ. (14) | 21 | 3 | 9 | 9 | 27-39 | 15 |
| შალკე (10) | 21 | 4 | 7 | 10 | 21-35 | 15 |
| ლაიპციგი (დ) | 21 | 2 | 9 | 10 | 17-37 | 13 |

„დინამოს“ დაკლებული აქვს 4 ქულა.


# სარბიელი

# ტოტალიზატორი

"CROCO"

უახლოესი ფსონები მიიღება შემდეგ თამაშებზე:

| | | | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|---|
| 18-20 თებერვ. | შალკე 04 — მიონხენგლადბახი | | 1,6 | 2,4 | 2,8 |
| | დუისბურგი — ვერდერი | | 2,0 | 2,2 | 2,3 |
| | ნიურნბერგი — კაიზერსლაუტერნი | | 1,6 | 2,4 | 2,8 |
| | კარლსრუე — აინტრახტი | | 1,6 | 2,4 | 2,8 |
| | შტუტგარტი — ვატენშაიდი | | 1,3 | 2,1 | 5,7 |
| | ლაიპციგი — ბაიერნი | | 3,5 | 2,0 | 1,6 |
| | დინამო — დორტმუნდი | | 1,6 | 2,0 | 3,5 |
| | ლევერკუზენი — ჰამბურგი | | 1,2 | 2,5 | 5,3 |
| | ფრაიბურგი — კიოლნი | | 1,3 | 2,4 | 4,4 |
| | ლოგრონიესი — რაიო ვალეკანო | | 1,3 | 2,2 | 5,0 |
| | სელტა — ტენერიფე | | 1,4 | 2,2 | 4,0 |
| | სპორტინგი — სანტანდერი | | 1,2 | 2,4 | 6,0 |
| | რეალი — ატლეტიკო | | 1,2 | 2,4 | 6,0 |
| | სევილია — ოვიედო | | 1,3 | 2,2 | 5,0 |
| | სოსიედადი — ლა კორუნია | | 2,3 | 2,0 | 2,2 |
| | ალბასეტე — ვალიადოლიდი | | 1,2 | 2,4 | 6,0 |
| | ბარსელონა — ოსასუნა | 0:1 | 1,2 | 3,0 | 3,0 |
| | სარაგოსა — ბილბაო | | 1,6 | 2,0 | 3,5 |
| | ლაციო — მილანი | | 2,0 | 2,0 | 2,5 |
| | სამპდორია — ატალანტა | 0:1 | 1,2 | 2,6 | 3,4 |
| | რეჯანა — ჯენოა | | 1,4 | 2,0 | 5,0 |
| | ტორინო — იუვენტუსი | | 2,8 | 2,4 | 1,6 |
| | ინტერი — ნაპოლი | | 1,6 | 2,0 | 3,5 |
| | ფოჯა — პარმა | | 2,0 | 2,0 | 2,5 |
| | კალიარი — პიაჩენცა | | 1,3 | 2,2 | 5,0 |
| | კრემონეზე — რომა | | 1,8 | 2,0 | 3,0 |


## ზაზა ბენდელიანის სახელობის ტურნირი

22-დან 26 თებერვლამდე სპორტის სასახლეში ჩატარდება აფხაზეთში გმირულად დაღუპული ზაზა ბენდელიანის სახელობის რიგით მეორე ტურნირი. მასში მონაწილეობას მიიღებენ: „დინამო“ (თბილისი), „ალაზანი“ (გურჯაანი), „გურია“ (ლანჩხუთი), „მეტალურგი“ (რუსთავი), „თეთრი არწივი“ (თბილისი), „კრწანისი“ (ზოოვეტინსტიტუტი), „დურუჯი“ (ყვარელი), „ჰაბუკიანი“ და მინი ფეხბურთის ოთხი თბილისური გუნდი: „ჩემპიონი“, „მორკინალი“, „ვაკე“ და „მენედა“. ტურნირის ორგანიზატორები არიან კონცერნი „მორკინალი“ (პრეზიდენტი ჯონი გიგანი), ს.კ. „კრწანისი“, ს.კ. „ჩემპიონი“, საქართველოს მინი ფეხბურთის ასოციაცია.

ტურნირის მონაწილეთა საყურადღებოდ: 20 თებერვალს, 14 საათზე სპორტის სასახლეში გაიმართება კენჭისყრა. გთხოვთ მოავლინოთ წარმომადგენლები.

სამშაბათი, 13 თებერვალი

ნიუ-ჯერსი ნეთსი — ნიუ-ორკ ნიქსი 103:83. მატჩის ბედი პირველ ტაიმში გადაწყდა. „ნეთსელებმა“ კენი ანდერსონმა და და კევინ ედვარდსმა საწყისი 11 სროლიდან 8-8 ჩააგდეს. ნიუ-ორკელმა პატრიკ იუინგმა მეორე წუთზე მეორე პერსონალური მიიღო და მეორე მეოთხედი სათადარიგოთა სკამზე გაატარა. მეორე მეოთხედის დასაწყისი „ნეთსმა“ 19:6 მოიგო, 20 ქულით დაწინაურდა და „ნიუ-ორკს“ სეზონში უდიდესი დამარცხება აგემა.

კლივლენდ კავალიერზი — დენვერ ნაგითსი 111:99. კლივლენდელმა ჯერალდ ვილკინსმა 27 ქულა გააკეთა (15 — პირველ მეოთხედში) და ოთხი სამქულიანი ჩაუგდო „დენვერს“.

დეტროიტ პისტონზი — ვაშინგტონ ბულიტსი 100:93. დეტროიტელმა ვეტერანმა ჯო დუმარსმა მიუხედავად მუხლის მყესის ტკივილისა, ხუთშაბათს რომ დაიზიანა „ჰიუსტონთან“ შეხვედრისას, 25 ქულა გააკეთა.

მინესოტა ტიმბერვულვზი — მილუოკი ბაქსი 97:90. მეოთხე მეოთხედის საწყისი ცხრა წუთი „მინესოტამ“ 22:8 მოუგო „ბაქსს“, რომელმაც ამ მონაკვეთში 23-დან 17 სროლა ააცდინა. „ტიმბერვულვზის“ ოლიმპიურმა ჩემპიონმა კრისტიან ლეიტნერმა 23 ქულა ჩააგდო და 13 ბურთი მოხსნა.

ორლანდო მეჯიქი — ბოსტონ სელტიქსი 102:92. „ბოსტონი“ მესამე მეოთხედში 82:72 იგებდა, მაგრამ დარჩენილ დროში 10:30 წააგო. ორლანდოელმა შაკილ ო ნილმა 36 ქულა და 24 მოხსნა გააკეთა.

სან-ანტონიო სფერზი — ინდიანა პეისერზი 109:100. „სფერზმა“ ზედიზედ მეათედ მოიგო, ხოლო „ინდიანამ“ შეწყვიტა 7-მატჩიანი წაუგებელი სერია. მასპინძელთა ცენტრმა დევიდ რობინსონმა 34 ქულა და 10 მოხსნა მიითვალა.

ჰიუსტონ როკიტსი — ატლანტა ჰოქსი 103:99. დღის ცენტრალურ მატჩში ყველაფერი ბოლო წუთზე გადაწყდა, როცა ჰიუსტონელმა ცენტრმა აკიმ ოლაჯუონმა 8 ქულა ჩააგდო, სულ მატჩში კი — 28.

დალას მავერიქსი — პორტლენდ თრეილ ბლეიზერსი 103:106. პორტლენდელმა კლიფ რობინსონმა (24 ქულა) დამთავრებამდე 26 წამით ადრე ჩააგდო და ზედიზედ მეცამეტედ მოაგებინა თავის გუნდს „დალასის“ წინააღმდეგ.

სიეტლ სუპერსონიქსი — ფილადელფია-76 113:105. სიეტლელმა შონ კემპმა მოედანზე სამი მეოთხედი დაჰყო. ამ ხნის მანძილზე მან 24 ქულა (6 ჩატენვა) და 13 მოხსნა შეასრულა. „სიეტლმა“ სეზონში უდიდესი სხვაობით გაიმარჯვა.

გოლდენ სტეიტ ვორიორზი — საკრამენტო კინგზი 123:113. „ვორიორზი“ პირველ მეოთხედში 19 ქულით იგებდა. მესამე პერიოდის დამთავრებამდე 8,16 წუთით ადრე მიჩ რიჩმონდმა სამქულიანი ჩააგდო და 61:60 დააწინაურა „კინგზი“, მაგრამ „მეომრებმა გამოასწორეს მდგომარეობა ბილი ოუენსის (29 ქულა) თამაშის წყალობით.

ფორმულა-1-ის სეზონის დაწყებამდე ექვს კვირაზე ნაკლები რჩება, მაგრამ „მაკლარენს“ ჯერაც არ დაუსახელებია პირველი პილოტი. წინა კვირაში გამოცხადდა, რომ მის შეფს — რონ დენისს დაუყოლიებია შარშანდელი ჩემპიონი და აწ „პენსიაზე გასული“ ფრანგი ალენ პროსტი, რომ ამან გამოსცადოს გუნდის ახალი მანქანა. მსგავსი ჭორები პირველად ჯერ კიდევ შარშან დაიყარა. მაშინ და ახლაც „უილიამსის“ შეფმა — ფრენკ უილიამსმა განაცხადა, რომ პროსტს რაგინდარა მანქანის გამოცდის უფლება აქვს, მაგრამ „უილიამსის“ გარდა სხვით ვერ ირბოლებს სულ ცოტა ერთი წელი: ჩვენთან კონტრაქტი აქვს დადებულიო. უცხოეთის მედია ვარაუდობს, რომ თუ „მაკლარენმა“, „პეჟომ“ და „მალბორომ“ მოინდომეს, იოლად გააჩენენ მილიონებს, ფრანგ მრბოლს კონტრაქტის დარღვევასა და „მაკლარენში“ ჩარიცხვას რომ გააბედვინებს. მაშინ ჩემპიონატს ისევ შეემატება ინტრიგა: ბრაზილიელი სენა „უილიამსით“ იქროლებს, პროსტი კი — „მაკლარენით“, და ისე გამოვა, თითქოს მოშულარმა მრბოლებმა ერთმანეთს მანქანები გაუცვალესო.

ყოველკვარტალური

# საკრიკეტო მიმოხილვა

ბორემ სამი თვეა, რაც მიზეზთა და მიზეზთა გამო კრიკეტის ახალი ამბები ვრცლად არ მიმოგვიხილავს. არადა, ამ დიდებულ თამაშში, სამომავლოდ არც თუ შორეულ მეზობლებთან — პაკისტანთან და ინდოეთთან ჩვენი სპორტული საზოგადოების დაკავშირება რომ ხელეწიფება — ცხოვრება ჩქეფს და გადმოჩქეფს. არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ მსოფლიოში არცერთ (ვიმეორებთ, არცერთ!) თამაშს არა აქვს ისეთი დატვირთული და სისხლსავსე საერთაშორისო კალენდარი, როგორც კრიკეტს. მთელი წლის მანძილზე ტურნეს ტურნირი ცვლის, ტურნირს — ისევ ტურნე და ასე შემდგომ, უსასრულოდ. საქმე იქამდეც კი მიდის, რომ BBC-ის მსოფლიო მაუწყებლობის ახალი ამბების გამოშვების წამყვანმა შარშან, 15 დეკემბერს ხუმრობით მიულოცა მსმენელებს, „თითქმის დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ დღეს კრიკეტი არსად იმართება და შეგვიძლია მოვისვენოთო!“ რაც შეეხება 12 თებერვალს, ამ დღეს იმავე რადიოხადგურმა ამაყად შენიშნა, „დღეს კრიკეტი ერთბაშად ოთხ კონტინენტზე იმართებაო“. მართლაც, იმ შაბათს ავსტრალია სამხრეთ აფრიკაში თამაშობდა, ინგლისი — ვესტ-ინდოეთში, პაკისტანი — ახალ ზელანდიაში, შრი-ლანკა — ინდოეთში, კენიაში კი 20 ქვეყნის ეროვნულ ნაკრებებს მოეყარათ თავი მსოფლიო თასის შესარჩევ ტურნირში!



დეკემბერ-იანვარში ავსტრალიაში დიდი სტუმრიანობა იყო. საშინაო შეჯიბრების — „შეფილდ შილდის“ პარალელურად იქაურ ქომაგებს საერთაშორისო მატჩებისგან მოცლა არ ჰქონდათ. ავსტრალიაში თითქმის ერთდროულად ბრძანდებოდნენ ახალი ზელანდიის „კივი“ და სამხრეთ აფრიკის „პროთეა“. (პროთეა აფრიკული ყვავილია და აპართჰეიდის ლიკვიდაციის კვალად განახლებული ქვეყნის სპორტული გუნდების თილისმა და თიკუნია.)

„კივიმ“ თავი თავიდან ერთობ შეირცხვინა, 0-2 წააგო რა სამმატჩიანი ტესტ-სერია. თუ პირველი თამაში უშედეგოდ დასრულდა, მეორე ტესტი ჰობართში სტუმრებმა სამარცხვინოდ — ვადამდე ერთი დღით ადრე, ოთხ დღეში წააგეს ერთი შესვლითა და 222 გარბენით, მესამე ტესტი კი ბრისბენში — ისევ მთელი შესვლითა და 96 გარბენით (ოღონდაც, მეხუთე დღეს). ამასობაში ავსტრალიას „პროთეაც“ ჩასულიყო და წინდაწინ დათქმული განრიგით სამმა გუნდმა — ავსტრალიამ, ახალმა ზელანდიამ და სამხრეთმა აფრიკამ თითოდღიანი კრიკეტის ე.წ. მსოფლიო სერიალი გააჩაღა. (მკლავბურთელებიც არ იყოს, მოკრიკეტეებსაც ერთობ უყვართ ამა თუ იმ რეგიონული შეჯიბრებისათვის ატრიბუტად „მსოფლიოს“ მიწებება.)

სერიალი ოთხ წრედა და ფინალად უნდა გამართულიყო. ორი წრე ძველ წელს მოეწყო, ორიც — ნაახალწლევს. „ზღვისრეთულ მოზაიკაში“ ეწერა საშუალედო შედეგი. ავსტრალიას 4 თამაშიდან 6 ქულა ჰქონდა, დანარჩენ ორ გუნდს — სამ-სამი. რაკილა შობაზე და ახალ წელს ავსტრალიასა და სამხრეთ აფრიკას თითო ტესტი უნდა გაემართათ (ტესტი ხუთ დღეს გრძელდება. დღის მანძილზე თამაში სამ სესიად ეწყობა. პირველი გრძელდება სადილამდე (lunch), მეორე — სამხრამდე (tea), მესამე — შებინდებამდე: ამ დროს პალოებს (stumps) ამოაძრობენ ხოლმე და მომენტსაც Stumps უწოდებენ.), „კივი“ დროებით შინ გაემგზავრა.

საშობაო, ორ ქვეყანას შორის 54-ე ტესტი მელბურნში წვიმამ შეიწირა. (წვიმა, ნისლი, ბინდი კრიკეტის პირველი მტრები არიან.) პირველ და მესამე დღეს თუ გუნდებმა ცოტა მაინც წაითამაშეს, მეორე დღეს ერთი ბურთიც არ მოუწვდიათ. რა გასაკვირია, რომ ამის შემდეგ თამაში უშედეგოდ დასრულდა — ვერცერთმა გუნდმა მოახერხა მეტოქეზე მეტი გარბენის მოგროვებაისე, რომ მეტოქის ყველა ტაფელოსანიც ორგზის გაეგდო.

საახალწლო ტესტი სიდნეიში გაიმართა. მართალია, „პროთეებმა“ შუა თამაშში თითის ტრავმის გამო დაკარგეს კაპიტანი ვესელსი (კრიკეტი საშინლად ტრავმატული თამაშია), მაგრამ ბოლო დღეს სასწაული მაინც მოახდინეს. თამაშის მოსაგებად ავსტრალიას მეორე შესვლაში 117 გარბენის მოგროვება სჭირდებოდა, მეოთხე დღის ბოლოს კი 63 გარბენი ჰქონდა 4 გაგდებულის სანაცვლოდ. ერთი სიტყვით, ბოლო დღეს თამაშში დარჩენილ 6 ავსტრალიელ ტაფელოსანს სულ რაღაც 54 გარბენიც უნდა მიეთვალა, მაგრამ ასე არ მოხდა: „პროთეათა“ მტყორცნელმა ფანი დევილიერსმა ეს ხალხი 43-ის სანაცვლოდ გაისტუმრა, ავსტრალიას მხოლოდ 111 მოაგროვებინა და სამხრეთ აფრიკას 5 გარბენით გაამარჯვებინა, რაც არა ყოფილა უმცირესი სხვაობით მოგება, რადგანაც ავსტრალიამ ვესტ-ინდოეთთან შარშან ერთი კინკილა გარბენით წააგო.

ამ ტესტების მერე „კივი“ ისევ დაბრუნდა და დასვენებულმა ისე კარგად ითამაშა, რომ ლამის იყო, მსოფლიო სერიალის ფინალშიც გავიდა, მაგრამ „პროთეებმა“ ბოლო, მეოთხე წრეში იმარჯვეს. ავსტრალიამ საბოლოოდ 10 ქულა მოიმკო, დანარჩენებმა — 7-7, მაგრამ „პროთეებმა“ გარბენთა საშუალო რაოდენობით აჯობეს „კივის“ და ფინალში გავიდნენ.

სამხრეთაფრიკელებმა ვესელსის ნაცვლად კაპიტნად გუნდის უმრწემესი (ყველაზე უმცროსი) წევრი, 24 წლის ჰანსი კრონიე აირჩიეს. მისი მეთაურობით „პროთეებმა“ მელბურნში 28 გარბენით მოიგეს პირველი ფინალი, მაგრამ მერე სიდნეიში ორივეჯერ წააგეს — 69 გარბენითა და 35 გარბენით, რის გამოც სერიალი ავსტრალიამ 2-1 მოიგო. ფინალმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ავსტრალიურ მოედნებზე არსებითი ყოფილა მატჩისწინა წილისყრის მოგება, რაკილა იღბლიანი კაპიტანი ზოლზე შესვლას ირჩევდა და მას ისე აპარტახებდა, რომ მერე და მერე მეტოქე ვეღარ დასწეოდა.

სერიალს ავსტრალია - სამხრეთ აფრიკის მესამე ტესტი მოჰყვა, ამჯერად ადელაიდაში. ავსტრალიამ 191 გარბენით მოიგო და სერია გააყაიმა, მაგრამ სტუმრები მსაჯობამ ალაშფოთა და მათაც გასახდელში კედელი გახვრიტეს (?!) გარდა ამისა, მსაჯებთან გაუთავებელი კამათისათვის პიტერ კერსტენი ორჯერ დააჯარიმეს — ჰონორარის 25 პროცენტი დაუქვითეს.

ამასობაში დიდი ამბები ხდებოდა ჰინდუსტანშიც. პაკისტანში სტუმრობდა უმრწემესი სატესტო ქვეყანა ზიმბაბვე, შრი-ლანკაზე კი — ვესტ-ინდოეთი. ზიმბაბვემ სამმატჩიან ტესტ-სერიაში კარგად ითამაშა და თუმცა 0-2 წააგო, ყველა აალაპარაკა, „ღირსეული წევრი შემატა ჩვენს საკრიკეტო სამოსო“. მერე დაიწყო თითოდღიანთა სერიალი და იქ სტუმრებმა ერთიანად ჩაისვარეს — ყარაჩშიც წააგეს, რავალპინდშიცა და ლაჰორშიც.

შრი-ლანკაზე ჩვეულებრივი ამბავი დატრიალდა — საქმეში თავსხმა წვიმები ჩაერია. იქაური კრიკეტის მამას — ტაირონ ფერნანდოს ვერავინ აწყენინებს. ამიტომ მთავარი თამაშები უნდა დაინიშნოს მისი მშობლიური ქალაქის — მოროტუას სტადიონზე, რომელიც წინათ პირუტყვის დასამწყვდევი ეზო ყოფილა, რის გამოც დრენაჟი არ უვარგა.

შრი-ლანკაზე ვესტ-ინდოეთი პირველად სტუმრობდა, მაგრამ იქაურ მაყურებელს თავისი უბადლო ოსტატობა ვერ უჩვენა. ავდრის გამო ჩაიშალა სამდღიანი თამაში, ჩაიშალა ხუთდღიანი ტესტი, ჩაიშალა პირველი თითოდღიანიც. მეორე თითოდღიანი მასპინძლებმა მოიგეს, მერე კი სტუმრებს დიდი ჩხუბი გადახდათ საიმისოდ, შრი-ლანკა მესამე თამაშზე რომ დაეყოლიებინათ. მასპინძლებმა მოედნის სისველე მოიმიზეზეს და ასე, უბრძოლველად უნდოდათ სერიალის 1-0 მოგება.

ვესტ-ინდოეთი შინ ინგლისის დასახვედრად გაემგზავრა, შრი-ლანკა კი ინდოეთს ეწვია... მეზობელთან დაუბრებული პაკისტანის ნაცვლად, რომელმაც თავის მხრივ, ჯერ მისგან 23 წლის წინ გამოყოფილ ბანგლადეშში ითამაშა, მერე კი ახალ ზელანდიას მიაშურა. შრი-ლანკა შინაა დიდ გულზე, თორემ სტუმრად ჯერაც ვერაფერი მოუგია. ახლაც ასე მოხდა: ლაკნაუში სტუმრებმა პირველი ტესტი შესვლითა და 119 გარბენით წააგეს, ბანგალორში მეორე ტესტი — შესვლითა და 95 გარბენით, აჰმადაბადში მესამე ტესტი კი — შესვლითა და 17 გარბენით. (ასეთ ყაიდაზე წაგება ნიშნავს, რომ შრი-ლანკამ ორ შესვლაში ამდენით ნაკლები გარბენი დააგროვა, ვიდრე ინდოეთმა ერთადერთ შესვლაში.)

ინდოეთს არ ჩამორჩა პაკისტანი. მან ოკლენდში ხუთის ნაცვლად სამ დღეში 5 ბჯით მოუგო ახალ ზელანდიას. იქაური „ჩდენ პარკში“ ბჯეები პანტა-პუნტით ცვიოდა. მარტო ვაზიმ აკრამმა 9 ბჯე დალეწა. „აქეთურ-იქეთურში“ უკვე ვწერდით, თუ როგორ გადააყენებინეს ვაზიმი კაპიტნობიდან, მაგრამ დიდი მოთამაშე არ გასწყრომია თანგუნდელებს და დაუქადნია, ქვეყნის ინტერესები ჩემთვის უზენაესიაო.

ვესტ-ინდოეთში ინგლისს პირველი ტესტი ელის. იქ ხუთ კვირას გასტანა შინაურმა შეჯიბრმა — „რედ სტრაიპ კაპმა“, რომელშიც ექვსი გუნდი: იამაიკა, გაიანა, ტრინიდად-ტობაგო, ბარბადოსი, ქარპირა (Windwards) და ქარზურგა (Leewards) კუნძულები მონაწილეობს. გადასარევად ითამაშეს ქარზურგა კუნძულელებმა და თუმცა ბოლო ტურში შარშანდელ ჩემპიონგაიანასთან სტუმრად წააგეს, მაგრამ პირველი შესვლის მოგების გამო მოხვეჭილი პრემიალური ქულებით ცხრილში გაუსწრეს ტრინიდად-ტობაგოს.

მერე პატარა გაუგებრობა მოხდა. ინგლისს ვესტ-ინდოეთი ბარბადოსზე უნდა დაუხვდეს; ჰოდა ნაკრების გაიანელი და ქარზურგელი წევრები ერთი თვითმფრინავით გაფრინდნენ მატჩის ადგილისაკენ, მაგრამ ქარზურგელებმა — კურტლი ამბროუზმა და ვინსტონ და კენეტ ბენჯამინებმა აიხირეს, ჯერ შინ უნდა შევიაროთო და თვითმფრინავს გეზი ანტიგუასაკენ აალებინეს, თუმცა კი ბოლოსდაბოლოს ნაკრების კაპიტნის — რიჩი რიჩარდსონის თანხლებით ბარბადოსზე მაინც დროულად ჩაბრძანდნენ.

დასასრულ, ორიოდ სიტყვა ვესტ-ინდოეთის შესახებაც. ესაა კარიბის ზღვის ქვეყნების საკრიკეტო გაერთიანება. მისი უნიჭიერესი მოთამაშეები ერთიანად მულატები არიან. ამ ქვეყნებს თავ-თავიანთი ტელესისტემები არა აქვთ და კრიკეტს მაშინღა უყურებენ, როცა რომელიმე სხვა ქვეყანა მას სამაღლოდ გადასცემს. მიუხედავად იმისა, რომ აშშ-თან სიახლოვის გამო ვესტ-ინდოელთა ტელეეკრანები გაჭედილია პროფესიული კალათბურთითა და მისთანებით, ამ ქვეყნებში კრიკეტს მაინც არაფერი ურჩევნიათ.

## აქეთური, იქითური

ინგლისელმა მეგოლფემ ბრაიან ბარნსმა ევროპული ტურნეს პროგრამით შაბათს ტენერიფეს (კანარის კუნძულები) ღია პირველობის მესამე წრეში ნორმაზე,რვით უკეთესი (64) შედეგი რომ გააჩერხა, განაცხადა, სასმელს აღარ გავეკარებიო. ბარნსი ერთი პირობა გალოთებულა და თურმე თავის მოკვლასაც კი ფიქრობდა, მაგრამ მერე და მერე გოლფის მეტისმეტ სიყვარულს ამ ქვეყნისაკენ შემოუბრუნებია.

*

ფლორიდის ავტოდრომი, სადაც ამ კვირას „დეიტონა 500“ რბოლა უნდა გაიმართოს, პირდაპირ დაწყევლილი აღმოჩნდა მრბოლთათვის — ვარჯიშის დროს ოთხი დღის მანძილზე ორი კაცი დაიღუპა. ავტოდრომის პირველი მსხვერპლი შეიქნა 47 წლის ნილ ბონეტი, ვისაც შეჯიბრება 6 ცდიდან ორჯერ მოეგო. გამოხდა სამი დღე და როდნი ორს მანქანა ამოუყირავდა, კედელს შეასკდა და ეს მრბოლიც დაიღუპა.

*

ვარჯიშისას დაასრულა სიცოცხლე 23 წლის ესპანელმა ველომრბოლმა ანტონიო მარტინმაც. მას მადრიდში წვრთნის დროს ავტომობილი დაეჯახა. მარტინი ირიცხებოდა „ბანესტოს“ გუნდში, სადაც მიგელ ინდურაინისთვის პარტნიორობა უნდა გაეწია.

*

ბრიტანეთის მძლეოსნობის ფედერაციამ გადაწყვიტა დისციპლინარული სასჯელი დააკისროს სპონსორობის წარმმართველს, ვინმე ენდი ნორმანს, რომელსაც ბრალი ედება მწვრთნელისა და ჟურნალისტის კლიფ ტემპლის თვითმკვლელობის შეგულიანებაში.

*

ევროპის დარბაზებში გაგანია მძლეოსნური სეზონია. მადრიდში კანადელმა ბრუნო სურინმა 60 მეტრზე რბენაში სეზონში ჯერჯერობით საუკეთესო შედეგი აჩვენა — 6,50 წამი. ბრიტანელები წინა უქმეებზე გლაზგოს „კელვინ ჰოულში“ მატჩში ამერიკელებს შეეჯიბრნენ. 60 მეტრზე თარჯრბენში მსოფლიო ჩემპიონმა და რეკორდსმენმა, უელსელმა კოლინ ჯექსონმა 7,36 წამი აჩვენა და დარბაზის მსოფლიოს რეკორდი ერთი მეასედით გააუმჯობესა, მაგრამ ბრიტანელმა მსაჯებმა ფოტოფინიშის ფირი გულდასმით შეისწავლეს და დაადგინეს, რომ ჯექსონის შედეგი 7,36 ყოფილა, რაც ამერიკელი გრეგ ფოსტერის მიერ 1987 წელს დამყარებული რეკორდის გამეორებაა.

*

გაისად ლიგის რაგბს ასი წელი უსრულდება. საიუბილეოდ ბრიტანეთში უნდა გაიმართოს საგანგებო მსოფლიო ჩემპიონატი, მაგრამ იმის გამო, რომ ნაღდი რაგბის მსოფლიო თასი, რომლის გამართვაც იმავე წელს სამხრეთ აფრიკაშია დაგეგმილი, ამ ქვეყანაში გამეფებული პოლიტიკური ქაოსის გამო შეიძლება ბრიტანეთში გადაიტანონ, ლიგის რაგბის მამებმა თავიანთი შეჯიბრის ოქტომბრიდან 1996 წლის საიანვროდ გადადება განიზრახეს. ამაზე ლიგის რაგბის საერთაშორისო საბჭოს გენერალურმა დირექტორმა, ავსტრალიელმა კენ აფერტონმა შაბათს ბრისბენში განაცხადა, რომ ლონისძიება ჩვეულებრივი რაგბისაგან ლიგის გამოყოფის ზუსტ წლისთავზე უნდა გაიმართოსო. როგორც მიმომხილველები შენიშნავენ, აფერტონის ახირებას პედანტურზე უფრო მეტად პრაგმატული მოსაზრებები სდებია საფუძვლად: ავსტრალიელებს თურმე ხელს არ აძლევთ იანვარში თამაში, რაკილა ეს პერიოდი მათი საშინაო სარაგბო არდადეგების შუაწელზე მოდის, რის გამოც სპორტული ფორმის შენარჩუნება გაუჭირდებათ. რაც შეეხება საკუთრივ შეჯიბრებას, მასში იასპარეზებს 10 გუნდი: ინგლისი, ავსტრალია, ახალი ზელანდია, საფრანგეთი, პაპუასეთი, სამხრეთი აფრიკა, ტონგა, ფიჯი, სამოა და უელსი. როგორც ხედავთ, ამ სიაში არაა რუსეთი, რაც კიდევ ერთხელ გვაეჭვებს ქუთაისის „ერქვანის“ გადაწყვეტილების სისწორეში.

*

მსოფლიოში ბოლო ხანებში ერთობ გავრცელებულა აერობოლი ანუ ჰაერბურთი. იგი 1960-იანი წლების ბოლოს კალიფორნიელ სტუდენტებს გამოუგონიათ. აერობოლი იგივე ფრენბურთი ყოფილა, ოღონდაც— ბატუტზე.

აქეთური, იქითური


# სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის სამშაბათობით და პარასკეობით

ინდექსი 66441

[illegible] გაზეთის ფასი სახელშეკრულებო

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. ტელეფონი: 39 48 29
წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208
იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსში; ხოშარაულის 29

დამფუძნებელი:
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“

რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია

სარედაქციო კოლეგია: გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, ზაალ გიგინეიშვილი (რედაქტორის მოადგილე), ზურაბ მეძველია, მამუკა ჩიხლაძე (პასუხისმგებელი მდივანი)